

**შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ
კომპანი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	14
5. წინა პერიოდის შეცდომები.....	19
6. ამონაგები.....	20
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
8. სხვა შემოსავალი.....	21
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
10. აქტივების გაუფასურების და ზენორმატიული ხარჯები	21
11. სხვა ხარჯი.....	22
12. საპროცენტო ხარჯი, წმინდა	22
13. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	22
14. ძირითადი საშუალებები	22
15. საინვესტიციო ქონება	23
16. კრიპტო აქტივი.....	23
17. გაცემული სესხები	23
18. მარაგები.....	26
19. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	26
20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	27
21. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	28
22. მიღებული სესხები	28
23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
25. პირობითი ვალდებულებები	31
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	34
27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სტილ ინტერნიშენელ ტრეიდინგ კომპანის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს სტილ ინტერნიშენელ ტრეიდინგ კომპანის (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 27-ე შენიშვნაში, ჯგუფს საინვესტიციო ქონება აღრიცხული აქვს რეალური ღირებულებით ბასს 40-ის მიხედვით. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა არ შეაფასა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, როგორც ეს მოთხოვნილია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების მოდელით აღრიცხვის შემთხვევაში, ამიტომ ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფს გააჩნია ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული გრძელვადიანი აქტივები (შენობა, ავეჯი და ინვენტარი), რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე შეადგენდა 1,973,281 ლარს და რომელიც სხვა საწარმოო აქტივებთან ერთად გაუფასურების შედეგად ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია ნულოვანი ღირებულებით. ჩვენ ვერ დავადგინეთ აღნიშნულ ადმინისტრაციულ აქტივებს გააჩნია თუ არა საბაზრო ან სალიკვიდაციო ღირებულება და შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ აქტივებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 2,360,819 ლარი. ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები და შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია მიღებული სესხების ნაშთების დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 74,540,217 ლარი, (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 31,402,123 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა მიღებული სესხები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 5,604,184 ლარი (31.12.2020 – 2,086,370 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ბასს 2-ის " სასაქონლო მატერიალური ფასეულობები" მიხედვით ნედლეულისა და მასალების დანაკარგების, შრომის და სხვა საწარმოო ზედნადები ზენორმატიული ხარჯები არ უნდა ჩაირთოს მარაგების თვითღირებულებაში. ჯგუფს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კლასიფიკაციით 2021 წელს წარმოდგენილი აქვს 37,705,054 ლარის დანახარჯი (2020: 23,644,395 ლარი). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, ზემოთ აღნიშნული დანახარჯებიდან რა ნაწილი წარმოადგენს მარაგის თვითღირებულებაში ჩასართავ ხარჯს და რა ნაწილი ზენორმატიულ დანახარჯს.

ჩვენ ვერ დავესწარით მარაგების ინვენტარიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის ოპერაციების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგების რაოდენობასა და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 3,627,651 ლარის ღირებულებით. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგების განსაზღვრაზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელია თუ არა 2021 წლის ოპერაციების შედეგებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება. შესაბამისად, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

ჯგუფს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესყიდული და აღრიცხული აქვს 3,916,717 ლარის ღირებულების მარაგი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად ჯგუფს უნდა მიაწოდოს მესამე მხარემ. ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს თუ არა მიღებული აღნიშნული მარაგი. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვექნა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

როგორც 26-ე შენიშვნაშია აღნიშნული, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ. ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი.

აღნიშნულმა მოვლენებმა, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულთა სიაში, თუმცა საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ჯგუფს 2021 წელს და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის სახელმწიფოში.

როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ექვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 ივლისი 2022

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრედინგ კომპანის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრედინგ კომპანის (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 27-ე შენიშვნაში, ჯგუფს საინვესტიციო ქონება აღრიცხული აქვს რეალური ღირებულებით ბასს 40-ის მიხედვით. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა არ შეაფასა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, როგორც ეს მოთხოვნილია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების მოდელით აღრიცხვის შემთხვევაში, ამიტომ ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფს გააჩნია ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული გრძელვადიანი აქტივები (შენობა, ავეჯი და ინვენტარი), რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე შეადგენდა 1,973,281 ლარს და რომელიც სხვა საწარმოო აქტივებთან ერთად გაუფასურების შედეგად ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია ნულოვანი ღირებულებით. ჩვენ ვერ დავადგინეთ აღნიშნულ ადმინისტრაციულ აქტივებს გააჩნია თუ არა საბაზრო ან სალიკვიდაციო ღირებულება და შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ აქტივებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 2,360,819 ლარი. ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები და შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია მიღებული სესხების ნაშთების დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 74,540,217 ლარი, (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 31,402,123 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა მიღებული სესხები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 5,604,184 ლარი (31.12.2020 – 2,086,370 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ბასს 2-ის " სასაქონლო მატერიალური ფასეულობები" მიხედვით ნედლეულისა და მასალების დანაკარგების, შრომის და სხვა საწარმოო ზედნადები ზენორმატიული ხარჯები არ უნდა ჩაირთოს მარაგების თვითღირებულებაში. ჯგუფს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კლასიფიკაციით 2021 წელს წარმოდგენილი აქვს 37,705,054 ლარის დანახარჯი (2020: 23,644,395 ლარი). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, ზემოთ აღნიშნული დანახარჯებიდან რა ნაწილი წარმოადგენს მარაგის თვითღირებულებაში ჩასართავ ხარჯს და რა ნაწილი ზენორმატიულ დანახარჯს.

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის ოპერაციების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგების რაოდენობასა და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 3,627,651 ლარის ღირებულებით. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგების განსაზღვრაზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელია თუ არა 2021 წლის ოპერაციების შედეგებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება. შესაბამისად, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

ჯგუფს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესყიდული და აღრიცხული აქვს 3,916,717 ლარის ღირებულების მარაგი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად ჯგუფს უნდა მიაწოდოს მესამე მხარემ. ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს თუ არა მიღებული აღნიშნული მარაგი. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

როგორც 26-ე შენიშვნაშია აღნიშნული, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ. ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი.

აღნიშნულმა მოვლენებმა, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულია სიაში, თუმცა საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ჯგუფს 2021 წელს და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის სახელმწიფოში.

როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 ივლისი 2022

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020*
ამონაგები	6	709,913,015	163,592,138
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(527,581,836)	(163,483,970)
საერთო მოგება		182,331,179	108,168
სხვა შემოსავალი	8	63,737,365	7,354,340
გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯები		-	(64,207)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,977,060)	(4,691,971)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		(1,574,952)	(28,828,408)
აქტივების გაუფასურება და ზენორმატიული ხარჯები	10	(3,772,647)	(820,360)
სხვა ხარჯი	11	(1,117,914)	(3,035,391)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)		233,625,971	(29,977,829)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	12	(2,181,272)	(3,243,972)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	13	849,613	(5,822,573)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		232,294,312	(39,044,374)
მოგების გადასახადის ხარჯი		(342,153)	(80,247)
წმინდა მოგება/(ზარალი)		231,952,159	(39,124,621)
სხვა სრული შემოსავალი			
ელემენტები, რომლებიც არ დრეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში			
კრიპტო აქტივის გადაფასება	16	1,080,946	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		233,033,105	(39,124,621)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2022 წლის 22 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	გიორგი ჭელიძე
მთავარი ბუღალტერი	_____	ზურაბ დიდბერიძე

10-45 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრედინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

	შენიშვნა	2021	2020*
ამონაგები	6	709,913,015	163,592,138
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(527,581,836)	(163,483,970)
საერთო მოგება		182,331,179	108,168
სხვა შემოსავალი	8	63,737,365	7,354,340
გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯები		-	(64,207)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,977,060)	(4,691,971)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		(1,574,952)	(28,828,408)
აქტივების გაუფასურება და ზენორმატიული ხარჯები	10	(3,772,647)	(820,360)
სხვა ხარჯი	11	(1,117,914)	(3,035,391)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)		233,625,971	(29,977,829)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	12	(2,181,272)	(3,243,972)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა	13	849,613	(5,822,573)
მოგება/(ზარალი) დაზღვევამდე		232,294,312	(39,044,374)
მოგების გადასახადის ხარჯი		(342,153)	(80,247)
წმინდა მოგება/(ზარალი)		231,952,159	(39,124,621)
სხვა სრული შემოსავალი			
ელემენტები, რომლებიც არ დრეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში			
კრიპტო აქტივის გადაფასება	16	1,080,946	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		233,033,105	(39,124,621)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2022 წლის 22 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი



ზურაბ დიდბერიძე

10-45 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020*	01.01.2020*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	14	477,892	571,529	702,431
საინვესტიციო ქონება	15	2,588,808	2,588,808	2,588,808
არამატერიალური აქტივები		72,951	90,366	15,377
კრიპტო აქტივი	16	9,643,229	-	-
გაცემული სესხები	17	25,791,262	26,449,830	-
		38,574,142	29,700,533	3,306,616
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	18	35,361,494	10,830,244	8,691,230
საგადასახადო აქტივი	19	3,771,934	4,021,585	-
გაცემული სესხები	17	129,943,604	4,520,407	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	258,128,264	30,724,355	21,823,803
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	13,624,775	1,861,430	3,483,390
		440,830,071	51,958,021	33,998,423
სულ აქტივები		479,404,213	81,658,554	37,305,039
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		50	50	50
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		152,857,002	(77,156,290)	(37,576,934)
კრიპტო აქტივის გადაფასების რეზერვი	16	1,080,946	-	-
სულ კაპიტალი		153,937,998	(77,156,240)	(37,576,884)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	22	92,750,136	21,305,434	2,748,041
		92,750,136	21,305,434	2,748,041
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	19	14,357,861	12,638,451	6,552,106
მიღებული სესხები	22	75,608,706	80,283,879	49,421,130
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23	142,303,250	44,140,768	16,160,646
სასამართლო დავებთან დაკავშირებული ანარიცხი		446,262	446,262	-
		232,716,079	137,509,360	72,133,882
სულ ვალდებულებები		325,466,215	158,814,794	74,881,923
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		479,404,213	81,658,554	37,305,039

(*) – 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

10-45 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული ფულადი სახსრები მომხმარებლებისგან		484,492,094	166,120,465
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(527,738,226)	(136,697,116)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(17,833,032)	(13,135,156)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) ფულადი სახსრები		(61,079,164)	16,288,193
 გადახდილი პროცენტი		(3,291,249)	(1,186,626)
დაბრუნებული გადასახადები, წმინდა		47,062,090	3,497,667
ფულადი ნაკადების წმინდა (გადინება)/ შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		(17,308,323)	18,599,234
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხების გაცემა		(45,585,344)	(58,846,961)
გაცემული სესხების მიღება		13,083,350	227,460
მიღებული პროცენტი		2,066,731	313,405
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(1,485,717)	(581,786)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(31,920,980)	(58,887,882)
 ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოძინება მიღებული სესხებიდან		77,447,921	47,104,109
მიღებული სესხების დაფარვა		(14,514,254)	(8,241,875)
დივიდენდის გაცემა		(1,938,867)	(454,735)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება ფინანსური საქმიანობიდან		60,994,800	38,407,499
 გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		(2,152)	259,189
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	21	1,861,430	3,483,390
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	21	13,624,775	1,861,430

10-45 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	კრიპტო აქტივის გადაფასების რეზერვი	სულ
01.01.2020*	50	(37,576,934)	-	(37,576,884)
წმინდა ზარალი	-	(39,124,621)	-	(39,124,621)
დივიდენდების განაწილება	-	(454,735)	-	(454,735)
31.12.2020*	50	(77,156,290)	-	(77,156,240)
წმინდა მოგება	-	231,952,159	-	231,952,159
დივიდენდების განაწილება	-	(1,938,867)	-	(1,938,867)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	1,080,946	1,080,946
31.12.2021	50	152,857,002	1,080,946	153,937,998

(*) – 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

10-45 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი გიორგი ჭელიძე. კომპანიის მთავარი საქმიანობაა ფეროსილიკომანგანუმით, კოქსითა და ქვანახშირით ვაჭრობა.

კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - ჯგუფი) დაფუძნებული არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. ალექსიძის ქ., N12, ბლოკი ბ, სართული 8, საოფისე ფართი, N39.

კომპანიის წილობრივი ფლობა შვილობილ კომპანიებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის დასახელება	31.12.2021 წილის ფლობა	31.12.2020 წილის ფლობა	შემდგომი/ დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს სტილ ოილი	100.00%	100.00%	2020	საწვავის შეძენა და რეალიზაცია
შპს ჯიმ ენერჯი	51.00%	51.00%	2020	არ ფუნქციონირებს
შპს საქნახშირი	100.00%	100.00%	2019	ქვანახშირის მოპოვება და გადამუშავება
შპს პოლჩარ საქართველო	50.00%	50.00%	2019	არ ფუნქციონირებს
შპს სავაჭრო სახლი საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)	100.00%	100.00%	2019	არ ფუნქციონირებს
შპს სი-ბი-ემ ჯორჯია	100.00%	100.00%	2017	არ ფუნქციონირებს

კომპანიის დირექტორია გიორგი ჭელიძე.

2. მომზადების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფას-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებისა (ბასს 40), რომლისთვისაც ჯგუფი იყენებს რეალური ღირებულების მოდელს;
- გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული კრიპტო აქტივისა (ბასს 38);

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფას-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივ შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 27-ე შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

როგორც ეს 26-ე შენიშვნაშია აღწერილი, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ჯგუფს ჰყავს მრავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთში და უკრაინაში. როგორც ეს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებშია ასახული, ჯგუფს საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ არ შეუჩერებია ექსპორტი რუსეთის ტერიტორიაზე. ჯგუფმა 2022 წელს, ომის დაწყების შემდეგ, განახორციელა დაახლოებით 170 მილიონი ლარის ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტი რუსეთის ტერიტორიაზე. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯგუფის ხელმძღვანელობა ვერ აფასებს ზემოთ აღნიშნული მოვლენების გავლენას (ან შესაძლო გავლენას) ჯგუფის საქმიანობაზე, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ არ ჰქონია მნიშვნელოვანი შეფერხება საოპერაციო საქმიანობაში, თვლის რომ მართებულია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

ახალი ფას-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც

კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

სხვა

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საგადასახადო კანონმდებლობა და საგადასახადო ანარიცხების აღრიცხვა. ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება გადასახადის იმ მიდგომებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

ვალდებულებები მოგების გარდა სხვა მიდგომებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. რეალური ხარჯი მომავალში, შესაძლოა განსხვავდებოდეს გაკეთებული შეფასებებისგან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზები ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს რეზერვების სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად ჯგუფი იყენებს კომპლექსურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა რამდენიმე დაშვებას ცვლადი მონაცემების არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის რეზერვზე: დეფოლტის განსაზღვრება, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“), დეფოლტის ალბათობა („PD“), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში („EAD“), და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში („LGD“), ასევე მაკრო-ეკონომიკური სცენარების მოდელები.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“). იმისათვის, რომ განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი დროგამოშვებით ამოწმებს გაცემულ სესხებს, რომ შეაფასოს მათი გაუფასურება და განსაზღვროს გაუფასურების ზარალის ოდენობა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და მსგავს მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ანალოგიურად, ჯგუფი სამომავლო ფულად ნაკადებში ცვლილებებს იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რომლებიც მიუთითებენ, რომ მსესხებლების გადახდის სტატუსი გაუარესდა. ხელმძღვანელობა ალბათობებს განსაზღვრავს მსესხებლებთან ურთიერთობის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა დროსაც ითვალისწინებს დეფოლტის შემთხვევების მსგავსებასა და დეფოლტის შემთხვევაში მიღებულ დანაკარგებს.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-20 შენიშვნაში. გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

აქტივების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

ქვემოთ აღწერილია ზოგიერთი მაჩვენებელი, რომელთა არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურების ზარალს. ერთ-ერთი მათგანის არსებობის შემთხვევაშიც კი, საწარმო ახდენს ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას.

აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნების არსებობის დადგენისას, საწარმო ითვალისწინებს შემდეგ ნიშნებს:

ა) მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის ღირებულება მნიშვნელოვნად იმაზე მეტად შემცირდა, რაც მოსალოდნელი იქნებოდა დროის გასვლის ან ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად;

ბ) მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ჯგუფზე, მოხდა მოცემულ პერიოდში, ან ახლო მომავალში მოხდება იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი;

გ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ან ინვესტიციებზე უკუგების საბაზრო ნორმები მოცემულ პერიოდში გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ზრდა გავლენას მოახდენს აქტივის გამოყენების ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე და მნიშვნელოვნად შეამცირებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას;

დ) ჯგუფის ნეტო აქტივების საბალანსო ღირებულება მეტია მის საბაზრო კაპიტალიზაციასზე;

ე) არსებობს აქტივის მოძველების ან მისი ფიზიკური დაზიანების ნიშნები;

ვ) მოცემულ პერიოდში მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ჯგუფზე იმ თვალსაზრისით, რომ გავლენას მოახდენს აქტივის მიმდინარე ან შემდგომი გამოყენების ხარისხზე, ან მეთოდზე. აღნიშნულ ცვლილებებს განეკუთვნება აქტივის მოცდენა, იმ ქვედანაყოფის საქმიანობის შეწყვეტის ან რესტრუქტურისაციის გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი და აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების გეგმა ადრე ნავარაუდევ თარიღზე ადრე და ადრე განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ კლასიფიცირებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ხელახლა შეფასება და კლასიფიცირება შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივად ; და

ზ) შიდა ანგარიშგებიდან ჩანს მტკიცებულებები იმისა, რომ აქტივის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლები მოსალოდნელზე უფრო მეტად გაუარესდა, ან მომავალში გაუარესდება;

აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლის არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის, ცვეთის (ამორტიზაციის) მეთოდის ან აქტივის ნარჩენი ღირებულების გადასინჯვის საჭიროებასა და კორექტირებაზე, მოცემული აქტივის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, მაშინაც კი, როცა აქტივის გაუფასურების ზარალი აღიარებული არ არის.

შპს საქნახშირი, რომელმაც 2018 წელს ფატალური ინციდენტის მოხდენის გამო შეაჩერა საქმიანობა, 2019 წელს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისგან“ შეიძინა შპს „სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანიმ“. აღნიშნული ტრანზაქციის შედეგად, შპს საქნახშირისთვის ავტომატურად გაუქმდა 2018 წელს გაფორმებული მემორანდუმი ნახშირის ფიქსირებულ ფასად შესყიდვაზე.

ზემოთ აღწერილი მოვლენები მიჩნეულ იქნა შპს საქნახშირის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა გამოყენების შედეგად მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულება.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის შეფასებით, გარდა ავტომობილებისა, ადმინისტრაციული შენობისა, სხვა საოფისე ინვენტარისა და საინვესტიციო ქონებისა, შპს საქნახშირის ყველა გრძელვადიანი აქტივი წარმოადგენს ერთ ფულადი სახსრების წარმომდგენ ერთობლიობას. ყველა სხვა დანარჩენ გრძელვადიან აქტივზე მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება უარყოფითია, ამიტომ გამოყენებითი ღირებულების კალკულაცია შეუძლებელია. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასების შედეგად გამოყენებითი ღირებულება ძირითადი საშუალებებიდან მხოლოდ ავტომობილების ჯგუფს აქვს და ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული გაუფასურების ტესტის მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 399,662 ლარს (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 561,446 ლარს).

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფულადი სახსრების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონის იერარქია, შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალების შეფასებისას გამოყენებულია შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება მოხდა აშშ დოლარში ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ხუთწლიან ფინანსურ ბიუჯეტზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროგნოზების საფუძველზე.
- შემდგომი ტერმინალური პერიოდი გამოყენებულია გაუფასურების ტესტირებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის;
- დისკონტირების პროცენტი გადასახადების გამოკლებით განისაზღვრა 16,48%-ით, საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტერმინალური პერიოდის ზრდის ტემპი განისაზღვრა აშშ დოლარის გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით 2,2 %-ით და ქართული ლარის გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით 3%-ით;

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის, დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	155,734,866	30,970,237	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	250,596,071	28,547,221	19,578,683
ფული და ფულის ექვივალენტები	13,624,775	1,861,430	3,483,390
	419,955,712	61,378,888	23,062,073
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	168,358,842	101,589,313	52,169,171
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	140,649,083	41,170,473	16,129,553
	309,007,925	142,759,786	68,298,724

ფას 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფას 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფას 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მე-2 დონის, ხოლო სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღებული სესხის თანხით, კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გათვალისწინებით, მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

- **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021		2020	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(185,856)	185,856	(397,286)	397,286

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	31.12.2021
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	155,734,866	-	155,734,866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,042,176	247,553,895	-	250,596,071
ფული და ფულის ეკვივალენტები	329,509	13,291,583	3,683	13,624,775
სულ ფინანსური აქტივები	3,371,685	416,580,344	3,683	419,955,712
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	168,358,842	-	168,358,842
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,323,478	134,305,650	19,955	140,649,083
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,323,478	302,664,492	19,955	309,007,925
ღია სავალუტო პოზიცია	(2,951,793)	113,915,852	(16,272)	

	ლარი	დოლარი	ევრო	31.12.2020
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	30,970,237	-	30,970,237
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	73,017	28,474,204	-	28,547,221
ფული და ფულის ეკვივალენტები	649,604	1,211,591	235	1,861,430
სულ ფინანსური აქტივები	722,621	60,656,032	235	61,378,888
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	101,589,313	-	101,589,313
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,795,513	39,374,960	-	41,170,473
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,795,513	140,964,273	-	142,759,786
ღია სავალუტო პოზიცია	(1,072,892)	(80,308,241)	235	

	ლარი	დოლარი	ევრო	01.01.2020
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	142,205	19,436,478	-	19,578,683
ფული და ფულის ეკვივალენტები	61,375	3,422,015	-	3,483,390
სულ ფინანსური აქტივები	203,580	22,858,493	-	23,062,073
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	52,169,171	-	52,169,171
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,425,437	13,667,494	36,622	16,129,553
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,425,437	65,836,665	36,622	68,298,724
ღია სავალუტო პოზიცია	(2,221,857)	(42,978,172)	(36,622)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2021	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/(ზარალი)	22,783,170	(22,783,170)	(3,254)	3,254
31.12.2020	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/(ზარალი)	(16,061,648)	16,061,648	47	(47)
01.01.2020	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/(ზარალი)	(8,595,634)	8,595,634	(7,324)	7,324

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

გაცემული სესხების საკრედიტო რისკის მართვის მიზნით ჯგუფი სესხის გაცემამდე აანალიზებს: მსესხებლის ფინანსურ ინფორმაციას, წარსულში და მიმდინარე მდგომარეობით ფინანსური სიძნელეების არსებობას. სესხის გაცემის შემდგომ კი ჯგუფი პერიოდულად უწევს მონიტორინგს მსესხებლის ფინანსური სიძნელეების წარმოქმნის რისკებს, რითიც მართავს საკრედიტო რისკს.

დებიტორული დავალიანებების საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. დეტალური ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილების შესახებ წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ჯგუფი ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება ჯგუფის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ ჯგუფის რეფინანსირების გეგმებს. ჯგუფის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნებს რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	78,096,582	77,666,749	27,350,365	183,113,696
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	140,649,083	-	-	140,649,083
სულ ფინანსურ ვალდებულებები	218,745,665	77,666,749	27,350,365	323,762,779
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	82,765,863	971,026	-	83,736,889
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41,170,473	-	-	41,170,473
სულ ფინანსურ ვალდებულებები	123,936,336	971,026	-	124,907,362
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	01.01.2020
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	50,154,263	2,859,041	-	53,013,304
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,129,553	-	-	16,129,553
სულ ფინანსურ ვალდებულებები	66,283,816	2,859,041	-	69,142,857

5. წინა პერიოდის შეცდომები

ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები, კერძოდ შეასწოა გაცემული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირებები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს ჯგუფის წლის შედეგს და ფინანსურ მდგომარეობას. წინა პერიოდის შეცდომების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2020	კორექტირება	31.12.2020 გადაანგარიშებული
გაცემული სესხები	62,140,057	(31,169,820)	30,970,237
დაგროვილი ზარალი	(45,986,470)	(31,169,820)	(77,156,290)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	01.01.2020	კორექტირება	01.01.2020 გადაანგარიშებული
გაცემული სესხები	1,504,980	(1,504,980)	-
დაგროვილი ზარალი	(36,071,954)	(1,504,980)	(37,576,934)
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2020	კორექტირება	2020 გადაანგარიშებული
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	(165,278)	(28,663,130)	(28,828,408)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	(2,460,039)	(783,933)	(3,243,972)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(5,604,796)	(217,777)	(5,822,573)

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრედიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს ძირითადად ფეროსილიკომანგანუმის და ფეროსილიკომანგანუმის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

ა) შემოსავლები რეალიზებული საქონლის სახეობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ფეროსილიკომანგანუმი	488,688,701	79,189,937
კოქსი	148,175,118	60,715,991
ნახშირი	24,697,228	15,906,061
საწვავი	14,765,808	5,870,562
სხვა	33,586,160	1,909,587
	709,913,015	163,592,138

ბ) შემოსავლები გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ექსპორტი	480,763,344	76,918,694
ადგილობრივი გაყიდვები	229,149,671	86,673,444
	709,913,015	163,592,138

რეალიზაციები კონტრაგენტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
შპს ჯი ემ ტრედიდინგ	282,048,801	-
შპს ეს თი ემ გრუპ	197,452,004	74,132,601
შპს ჯორჯიან მანგანუმი	171,286,990	59,794,787
შპს ქოულ.ჯი	25,073,544	12,887,178
სხვა	34,051,676	16,777,571
	709,913,015	163,592,138

ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ვალდებულებები

ჯგუფის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის დროს, არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

ჯგუფს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
ფეროსილიკომანგანუმი	(322,207,927)	(75,741,796)
კოქსი	(109,784,132)	(52,641,411)
ნახშირი	(37,705,054)	(25,942,736)
საწვავი	(13,381,307)	(5,528,473)
მიწოდების ხარჯი	(14,275,213)	(1,884,790)
სხვა	(30,228,203)	(1,744,764)
	(527,581,836)	(163,483,970)

8. სხვა შემოსავალი

	2021	2020
მოთხოვნის დათმობიდან მიღებული მოგება*	53,354,282	-
შემოსავალი საგადასახადო ვალდებულების პატიებიდან**	9,990,779	4,706,286
ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი	-	1,521,685
სახელმწიფო გრანტი	-	681,194
საკომისიო შემოსავალი	-	114,128
მომწოდებლისგან მიღებული ფასდაკლებები	-	253,008
საიჯარო შემოსავალი	-	78,039
სხვა	392,304	-
	63,737,365	7,354,340

(*) - 2021 წლის 10 დეკემბრს გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მიხედვით შპს GMC კონსალტინგმა (ცედენტმა) ჯგუფს (ცესიონერს) ნახევარ ფასად დაუთმო 28,000,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხის ძირის და 6,267,361 აშშ დოლარის ოდენობის დარიცხული პროცენტის მოთხოვნა. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფს გაუჩნდა ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტის მოთხოვნის უფლება შპს ჯორჯიან მანგანუთთან, სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 9,5%-ით. ოპერაციიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ ჯგუფისთვის შეადგინა 53,354,282 ლარი.

(**) - საგადასახადო ვალდებულებების პატიება უკავშირდება ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის და სხვა საგადასახადო ვალდებულებების პატიებას.

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(3,019,245)	(2,356,754)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები*	(1,842,136)	(1,539,912)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(340,215)	(190,841)
საგადასახადო ხარჯები	(286,360)	(180,416)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(83,728)	(83,861)
კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციის ხარჯები	(39,753)	(37,415)
სხვა	(365,623)	(302,772)
	(5,977,060)	(4,691,971)

(*) - კატეგორიაში „საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები“ 77,000 ლარი შეადგენს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯს 2020 წელს (2021 წელი: 0 ლარი).

10. აქტივების გაუფასურების და ზენორმატიული ხარჯები

	2021	2020
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ხარჯები	(2,237,817)	(820,360)
მარაგების გაუფასურება და ზენორმატიული ხარჯები	(1,534,830)	-
	(3,772,647)	(820,360)

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. სხვა ხარჯი

	2021	2020
ხარჯი ჯარიმებიდან და საურავებიდან*	(950,676)	(2,589,129)
სასამართლო დავასთან დაკავშირებული ანარიცხის ცვლილება	-	(446,262)
სხვა	(167,238)	-
	(1,117,914)	(3,035,391)

(*) - 2020 წელს მოიცავს ჯარიმას პროდუქციის შესყიდვასთან დაკავშირებით შპს "ჭიათურ მანგანუმ ჯორჯიასთან" გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო. დარიცხული ჯარიმის ხარჯი შეადგენს 1,423,150 ლარს (500,000 აშშ დოლარი), ასევე, შემოსავლების სამსახურის მიერ დაკისრებულ საგადასახადო ჯარიმებსა და საურავებს 1,165,979 ლარის ღირებულებით. 2021 წელს ხარჯი ჯარიმებიდან და საურავებიდან ძირითადად მოიცავს შემოსავლების სამსახურის ჯარიმებს და საურავებს.

12. საპროცენტო ხარჯი, წმინდა

	2021	2020
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	(5,792,310)	(3,676,546)
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი	3,611,038	432,574
	(2,181,272)	(3,243,972)

13. მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა

	2021	2020
გაცემული სესხების გადაფასება	(2,630,914)	1,420,857
მიღებული სესხების გადაფასება	7,245,577	(8,067,988)
მოთხოვნების გადაფასება	(15,045,251)	4,898,585
ვალდებულებების გადაფასება	11,282,353	(4,333,216)
ფულადი სახსრების გადაფასება	(2,152)	259,189
	849,613	(5,822,573)

14. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ავტომობილებს და ოფისის აღჭურვილობას ჯამური საბალანსო ღირებულებით 477,892 ლარი (31.12.2020: 571,529 ლარი) . 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება შეძენის მომენტისთვის და 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებულია, როგორც 0. ეს აქტივებია:

- საწარმოო მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა
- სამთო გამონამუშევრები
- დაუმთავრებელი მშენებლობა, მიწა და შენობები
- ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა- ნაგებობა	სულ
01.01.2020	452,881	2,135,927	2,588,808
შემოსვლა	-	-	-
31.12.2020	452,881	2,135,927	2,588,808
შემოსვლა	-	-	-
31.12.2021	452,881	2,135,927	2,588,808

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებულია სამართლიანი ღირებულებების მე-3 დონის მიხედვით. რეალური ღირებულება განისაზღვრა გაყიდვების პირდაპირი შედარების მეთოდითა და შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდით, რომელიც გულისხმობს საბაზრო ფასების ანალიზს მსგავს აქტივებზე და დანახარჯების მეთოდით, რომელიც ეყრდნობა ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებას მისი აღდგენითი ღირებულებისა და დაგროვილი ცვეთის გათვალისწინებით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწას და შენობებს ქალაქ ტყიბულში. საინვესტიციო ქონებით უზრუნველყოფილია ბანკებიდან მიღებული სესხები (შენიშვნა 22).

ჯგუფს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეკრძალება საინვესტიციო ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა მიმდინარე სასამართლო დავის გამო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. სასამართლო დავის დეტალები იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

16. კრიპტო აქტივი

2021 წელს ჯგუფმა შეიძინა 63 ცალი კრიპტო აქტივი (Bitcoin), რომელთა შესყიდვის ღირებულება ტრანაქციის თარიღისთვის შეადგენდა 8,562,283 ლარს. ჯგუფის კრიპტო აქტივის რეალური ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9,643,229 ლარს. კრიპტო აქტივების რეალური ღირებულების ცვლილება 2021 წელს ასახულია სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და შეადგენს 1,080,946 ლარს.

17. გაცემული სესხები

გაცემული სესხები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
იურიდიული პირები	8-10%	181,360,984	60,392,475	1,311,640
ფიზიკური პირები	8-9%	1,676,824	960,464	193,340
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		(27,302,942)	(30,382,702)	(1,504,980)
		155,734,866	30,970,237	-

გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი გაუფასურებამდე	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
იურიდიული პირები	8-10%	46,782,666	27,557,406	-
გრძელვადიანი სესხები გაუფასურებამდე		46,782,666	27,557,406	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		(20,991,404)	(1,107,576)	-
შემცირებული: სესხის გაუფასურების ანარიცხით		25,791,262	26,449,830	-

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. გაცემული სესხები (გაგრძელება)

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				
გაუფასურებამდე				
იურიდიული პირები	8-10%	134,578,318	32,835,069	1,311,640
ფიზიკური პირები	8-9%	1,676,824	960,464	193,340
მოკლევადიანი სესხები		136,255,142	33,795,533	1,504,980
გაუფასურებამდე				
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		(6,311,538)	(29,275,126)	(1,504,980)
შემცირებული: სესხის გაუფასურების ანარიცხით		129,943,604	4,520,407	-
სულ სესხები				
შემცირებული		155,734,866	30,970,237	-
გაუფასურების ანარიცხით				

ეტაპების მიხედვით გაცემული სესხების საერთო საბალანსო ღირებულება და შესაბამისი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2021	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული სესხი)	სულ
გაცემული სესხები	155,734,866	-	27,302,942	183,037,808
საბალანსო ღირებულება				
საკრედიტო ზარალის ანარიცხის	155,734,866	-	27,302,942	183,037,808
გათვალისწინებამდე				
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	-	(27,302,942)	(27,302,942)
საბალანსო ღირებულება	155,734,866	-	-	155,734,866

31.12.2020	ეტაპი 1 (12- თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული სესხი)	სულ
გაცემული სესხები	30,970,237	-	30,382,702	61,352,939
საბალანსო ღირებულება				
საკრედიტო ზარალის ანარიცხის	30,970,237	-	30,382,702	61,352,939
გათვალისწინებამდე				
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	-	(30,382,702)	(30,382,702)
საბალანსო ღირებულება	30,970,237	-	-	30,970,237

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრედიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. გაცემული სესხები (გაგრძელება)

01.01.2020	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული სესხი)	სულ
გაცემული სესხები	-	-	1,504,980	1,504,980
საბალანსო ღირებულება				
საკრედიტო ზარალის ანარიცხის	-	-	1,504,980	1,504,980
გათვალისწინებამდე				
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	-	(1,504,980)	(1,504,980)
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-

გაცემული სესხების ღირებულება და მოსალოდნელი საკრედიტო ანარიცხები მსესხებლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2021	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება, წმინდა
შპს ჯორჯიან მანგანეზი	126,025,521	-	126,025,521
შპს ქოულ.ჯი	25,114,392	(22,461,086)	2,653,306
შპს მნკორპი	10,172,196	-	10,172,196
შპს ბლოქჟაუერი	6,326,894	-	6,326,894
სს ქოუსთი	6,282,103	-	6,282,103
სხვა მსესხებლები	9,116,702	(4,841,856)	4,274,846
	183,037,808	(27,302,942)	155,734,866

31.12.2020	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება, წმინდა
შპს ჯორჯიან მანგანეზი	26,308,756	-	26,308,756
შპს ქოულ.ჯი	25,751,820	(25,751,820)	-
კორპორაცია რელინგტონი	3,574,128	-	3,574,128
შპს დიჯი კაპიტალი	1,805,586	(1,805,586)	-
ფ/პ გიორგი კაპანაძე	665,374	(665,374)	-
სხვა მსესხებლები	3,247,275	(2,159,922)	1,087,353
	61,352,939	(30,382,702)	30,970,237

01.01.2020	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება, წმინდა
შპს საქნახშირი	-	-	-
შპს გ.მ. გლობალი	532,895	(532,895)	-
შპს თბილკოალკომპანი	518,873	(518,873)	-
შპს კინგ დევიდ ოფისები	138,750	(138,750)	-
გიორგი ჭელიძე	133,119	(133,119)	-
სხვა მსესხებლები	181,343	(181,343)	-
	1,504,980	(1,504,980)	-

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. გაცემული სესხები (გაგრძელება)

მოძრაობა გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	(30,382,702)	(1,504,980)
დარიცხვა	(2,181,741)	(28,663,130)
შემცირება	3,651,371	-
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა საკრედიტო ზარალის ანარიცხზე	1,610,130	(214,592)
31 დეკემბერი	(27,302,942)	(30,382,702)

გაცემული სესხების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

18. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
ფეროსილიკომანგანუმი	19,695,792	-
გამდიდრებული ნახშირი	3,894,964	4,582,591
სათადარიგო ნაწილები	3,653,535	3,574,051
წიდა	2,414,096	2,493,667
კოქსი	1,441,065	6,427
სხვა	4,262,042	173,508
	35,361,494	10,830,244

19. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 14,357,861 ლარს, ხოლო საგადასახადო აქტივი 3,771,934 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 12,638,451 ლარს, ხოლო საგადასახადო აქტივი 4,021,585 ლარს).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საწარმოთა ჯგუფში შემავალი ერთი საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივის ჩათვლა მეორე საწარმოს საგადასახადო ვალდებულების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოებს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული მხოლოდ ერთი წმინდა გადასახადის მიღების ან გადახდის უფლება და საწარმოებში საგადასახადო აქტივის ანაზღაურებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად ახორციელებენ. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფში შემავალი სხვადასხვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები წარდგენილი არ არის ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური მოთხოვნები	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
სავაჭრო მოთხოვნები	254,684,479	29,599,708	20,496,565
მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(4,088,408)	(1,052,487)	(917,882)
არაფინანსური მოთხოვნები			
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	7,953,805	2,590,085	2,627,398
ავანსების გაუფასურების ანარიცხი	(421,612)	(412,951)	(382,278)
	258,128,264	30,724,355	21,823,803

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი დათვლილია მომხმარებელთა გადახდების, თანხის შემდგომი მიღებისა და მომავალი ფულის სახსრების მოძრაობის ანალიზის გზით თითოეული მნიშვნელოვანი კლიენტის ქრილში.

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	1,465,438	1,300,160
დარიცხვა	3,044,582	165,278
31 დეკემბერი	4,510,020	1,465,438

ჯგუფის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

ჯგუფი აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საეჭვო. ჯგუფი ასევე იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შემქნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ.

ახალი მომხმარებლის მიღების წინ ჯგუფი აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

ფინანსური მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2021	სპეციფიკურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	მიმდინარე	<30 დღეზე	31-90 დღე	90-180 დღე	180-365 დღე	>365 დღეზე	სულ
ზარალების ალბათობა	0.00%	0.07%	1.34%	5.63%	28.49%	60.01%	100.00%	
საბალანსო ღირებულება	10,495,758	198,474,779	12,758,323	29,539,016	1,021,906	1,436,401	958,296	254,684,479
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	(143,839)	(171,099)	(1,662,011)	(291,161)	(862,002)	(958,296)	(4,088,408)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	10,495,758	198,330,940	12,587,224	27,877,005	730,745	574,399	-	240,100,313

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

31.12.2020	მიმდინარე	<30 დღეზე	31-90 დღე	90-180 დღე	180-365 დღე	>365 დღეზე	სულ
ზარალების აღბათობა	0.07%	1.39%	4.53%	28.63%	69.01%	100.00%	
საბალანსო ღირებულება	17,838,573	7,036,484	3,803,492	207,332	10,061	703,766	29,599,708
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(12,675)	(97,501)	(172,235)	(59,367)	(6,943)	(703,766)	(1,052,487)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	17,825,898	6,938,983	3,631,257	147,965	3,118	-	28,547,221

01.01.2020	მიმდინარე	<30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	>365 დღეზე	სულ
ზარალების აღბათობა	0.05%	1.00%	3.00%	6.00%	50.00%	100.00%	
საბალანსო ღირებულება	9,409,444	3,744,612	6,612,971	37,908	33,125	658,505	20,496,565
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(4,705)	(37,446)	(198,389)	(2,274)	(16,563)	(658,505)	(917,882)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	9,404,739	3,707,166	6,414,582	35,634	16,562	-	19,578,683

21. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	12,531,353	1,079,657
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	763,913	132,169
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	328,595	649,604
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	914	-
	13,624,775	1,861,430

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

22. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	6-10%*	27,424,073	39,728,591
არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	8-10%	140,934,769	61,860,722
		168,358,842	101,589,313

მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 92,750,136 ლარს (31.12.2020: 21,305,434 ლარი), ხოლო მოკლევადიანი ნაწილი შეადგენს 75,608,706 ლარს (31.12.2020: 80,283,879 ლარი).

(*) - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სასესხო ვალდებულებების (18,585,600 ლარი) საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და შეადგენს - LIBOR 6 month + 9.22 %-ს, ხოლო ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული 8,836,258 ლარის ოდენობის სასესხო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9.5%-ს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სასესხო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და შეადგენს - LIBOR 6 month + 5.5% და LIBOR 6 month + 6.5%, LIBOR 6 month + 7 %.

მიღებული სესხების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შპს სტილ ინტერნიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

22. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის მთელი არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთით და მოძრავი ქონებით; ჯორჯიან მანგანუხის საკრედიტო ხაზის თავდებობით, რომელიც უზრუნველყოფილია ჯორჯიან მანგანუხის მთელი არსებული და სამომავლო მარაგებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფა წამორდგენილია შემდეგნაირად:

- შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის ძირითადი საშუალებების ნაწილი (ბჟუჟა ჰესი);
- შპს საქნახშირის ძირითადი საშუალებები;
- შპს საქნახშირის არამატერიალური აქტივები;
- შპს მტკვარი ენერჯის ნაწილობრივი თავდებობა;
- დებიტორული მოთხოვნები, ასევე მომავალში წარმოშობილი დებიტორული მოთხოვნები შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას (ს/ნ 230866435) მიმართ;
- თბოელექტროელექტროსადგურის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი, არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება;

სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონებით, ასევე არსებული და მომავალი არამატერიალური ქონებით.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტებით, რომლებიც უკავშირდება ზემოთ ჩამოთვლილი სხვა კომპანიების მიერ ჯგუფისთვის გაცემული სესხების უზრუნველყოფას, არ მომხდარა ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წამორდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	101,589,313	52,169,171
ფულადი ნაკადები	59,642,418	37,675,608
არაფულადი ნაკადები:		
წლის განმავლობაში დარიცხული ფინანსური ხარჯი	5,792,310	3,676,546
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	(7,203,290)	8,067,988
სხვა არაფულადი ცვლილება	8,538,091	-
31 დეკემბერი	168,358,842	101,589,313

23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	139,046,471	39,764,525
გადასახდელი ხელფასები	1,602,612	1,405,948
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,654,167	2,970,295
	142,303,250	44,140,768

ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სხვა*	-	109,771
გაცემული სესხები		
სხვა*	2,113,443	261,900
დამფუძნებელი	290,159	152,101
გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი		
სხვა*	(182,006)	-
დამფუძნებელი	(290,159)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
დამფუძნებელი	1,280,617	139,047
სხვა*	262,370	262,370
	2021	2020
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
სხვა*	(1,748,747)	(1,166,048)
ფინანსური შემოსავალი		
სხვა*	22,146	-
ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის ანარიცხის ცვლილება		
დამფუძნებელი	(146,369)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	(506,895)	(344,680)

(*) - წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

25. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები - 2013 წლის 20 სექტემბერს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს საქნახშირის ვიზუალური დათვალიერება/შესწავლა, რა დროსაც გამოვლინდა, რომ ნახშირის გამდიდრების პროცესში გამოყენებული წყალი მიეწოდებოდა რადიალურ ლამშემსკელებელს, საიდანაც ჭარბი გადანადენი წყალი ე.წ. ავარიული მილით ჩაედინებოდა მდინარე ტყიბულაში. ტერიტორიაზე მოწყობილი არ იყო სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა, ჩამდინარე წყალი გაწმენდის გარეშე ჩაედინებოდა ღელეში.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 6 ნოემბრის №01-13/115 ბრძანების საფუძველზე შემოწმებული იქნა შპს საქნახშირზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების №00241 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა, რა დროსაც გამოვლინდა, რომ საწარმოს არ ჰქონდა მოწყობილი სალექარში გაწმენდილი წყლის შემკრები 300 მ³ მოცულობის ავზი და სანიაღვრე წყლების შემკრები არხები.

საწარმოს ჩამდინარე წყლები ტუმბოს საშუალებით მიეწოდებოდა ჰორიზონტალურ სალექარს, საიდანაც ღია არხით ჩაედინებოდა მდ. ტყიბულაში. შემოწმების დროს წყლის ბრუნვითი სისტემა არ მუშაობდა, საწარმო ჩამდინარე წყლები ღია არხით ჩაედინებოდა მდ. ტყიბულაში და ხდებოდა მდინარის დაბინძურება მავნე ნივთიერებებით.

შემოწმების დროს მოხდა ჩამდინარე წყლების სინჯების აღება, მდ. ტყიბულაში ჩაშვებული დაბინძურებული ნივთიერებების (შეწონილი ნაწილაკების) რაოდენობის დასადგენად. გამოვლენილი დარღვევებიდან გამომდინარე, 2014 წლის 14 იანვარს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის საფუძველზეც სს „საქნახშირი“ ტყიბულის მაგისტრატის სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79²-ე მუხლით, შესაბამისად შეეფარდა ჯარიმა 5,000 ლარის ოდენობით. ჩამდინარე წყლებიდან აღებული ნიმუშების გამოკვლევის შედეგების, ასევე მოპასუხე საწარმოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 12 დეკემბრის N01-11/400 და 2014 წლის 16 იანვრის N01-11/12 წერილების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N54 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად, გამოანგარიშებული იქნა წყლის რესურსების დაბინძურებით გარემოსათვის მიყენებული ზიანი, რამაც შეადგინა 3,170,762 ლარი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს საქნახშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის 446,262 ლარის გადახდა. ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს შპს საქნახშირმა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა. საქმეზე ჩანიშნულია ექსპერტიზა.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის სასამართლო დავების შესაძლო მოსალოდნელი ზარალი შეადგენს 446,262 ლარს, რომელიც ხარჯად დარიცხულია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი.

ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ჯგუფს აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, ჯგუფს არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ეკოლოგიური საკითხები. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება საქართველოში განვითარების პროცესშია და რეგულარულად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციების გადახედვა. ჯგუფი პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია გარესმოდაციით კანონმდებლობაში. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე უნდა იქნას აღიარებული. შეუძლებელია პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას არსებულ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებსა და წესებში გახორციელებული ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით.

2019 წელს გაფორმდა გლობალური და რეგიონული ნახშირის გამოყენების ეტაპობრივი შეწყვეტის შესახებ პარიზის ხელშეკრულება: „Insights from Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) Special Report on 1.5°C“, სადაც აღნიშნულია რომ მიუხედავად რეგიონისა, ნახშირის გამოყენებამ ელექტროენერგიის წარმოებაში პიკს უნდა მიაღწიოს 2020 წელს და შემდგომ ყველა რეგიონში ეტაპობრივად შემცირდეს. ძირითადად ნახშირის გამოყენება უნდა შემცირდეს 2030 წლამდე, ამ დროისთვის მისი მოხმარება ელექტროენერგიის წარმოებაში არ უნდა აჭარბებდეს 13%-ს ნებისმიერ რეგიონში, და გლობალურად 6%-ს. პირველ რიგში ნახშირის გამოყენება უნდა შეწყდეს OECD ქვეყნებში, შემდეგ სამხრეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში - 2031 წლისთვის, რასაც მოყვება ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში ნახშირის ხმარებიდან ამოღება. პროცესი საბოლოოდ უნდა დასრულდეს 2040 წელს. აღნიშნული შეთანხმების შესრულება სავალდებულოა საქართველოსთვისაც, როგორც შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილე მხარისთვის და მისი მოთხოვნები ვრცელდება შპს საქნახშირზეც, რომლის მთავარი საოპერაციო საქმიანობა ნახშირის მოპოვებაა.

კოვენანტებთან შესაბამისობა - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით ჯგუფს მოეთხოვება დააკმაყოფილოს სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნები.

ფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები):

- სესხის მოქმედების განმავლობაში მსესხებელი ვალდებულია შეინარჩუნოს საკუთარი კაპიტალის მოცულობა მთლიანი აქტივების მინიმუმ 30%-ის ოდენობით;
- კაპიტალის მოცულობა წარმოადგენს ჯამურ საბალანსო კაპიტალს გამოკლებული აქტივების გადაფასებით განოწვეული ზრდა, გამოკლებული გუდვილი და დამატებული დამფუძნებლების მიმართ არსებული სესხები, რომლებიც სუბორდინირებულია სს :თიბისი ბანკი"-ს სესხების მიმართ;
- სესხის მომსახურების კოეფიციენტი (დათვლილი, როგორც EBITDA-ს გამოკლებული კაპიტალური დანახარჯები (დაფინანსებული კაპიტალით) - და ფულადი სახით გადახდილი დივიდენდები, გაყოფილი დასაფარ ძირსა და პროცენტში ჯამზე) შეინარჩუნოს არანაკლებ 1.2-ზე
- სესხის მოქმედების პერიოდში კომპანია ვალდებულია შეინარჩუნოს EBIT-ი INTEREST-თან კოეფიციენტი შემდეგნაირად:
- 2014 წელს- არანაკლებ 1,5-სა
- 2015 წელს- არანაკლებ 1,75-სა
- 2016 წლიდან კი - არანაკლებ 2.00-ის
- Free cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1.05 დონეზე; DSCR (CFADS) იანგარიშება: (EBITDA - ცვლილება საბრუნავ კაპიტალში - Maintenance CAPEX - დივიდენდი - მოგების გადასახადი)/(გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირი და პროცენტი)
- ჯამური სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი. EBITDA - საოპერაციო მოგება საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე (გადასადახდები დაკლებულია)
- სესხის მოქმედების პერიოდში კომპანია ვალდებულია შეინარჩუნოს EBITDA-ს გამოკლებული შესაბამის პერიოდის კაპიტალური დანახარჯები გაყოფილი INTEREST-თან კოეფიციენტი არანაკლებ 2.5-ზე.

არაფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები):

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აილოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა;

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ ან გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული აქტივები, ასევე არ მოხდეს მსესხებლის ან მისი გარანტორი კომპანიების წილების მოთხოვნის უფლებით დატვირთვა მესამე პირის სასარგებლოდ;
- მსესხებელი ვალდებულია სესხის მოქმედების პერიოდში სს "თიბისი ბანკის" წერილობითი თანხმობის გარეშე არ განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში წელწადში 4 000 000 ლარზე მეტი ოდენობით, ამასთანავე, არნიშნული კაპიტალური ინვესტიციები მიმართული იქნას მხოლოდ ქვანახშირის ამოღება/გამდიდრებისთვის საჭირო ინვესტიციების ფინანსირებისთვის;
- მსესხებელი ვალდებულია სესხის მოქმედების პერიოდში სს "თიბისი ბანკის" წერილობითი თანხმობის გარეშე არ განახორციელოს ინვესტიციები სხვა კომპანიებში;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს დივიდენდები;
- მსესხებელს არაქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები;
- სესხის მოქმედების პერიოდში, სამეწრემო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირაოვნობის/ყადადის გაჩენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მოხსნა 30 კალდენარული დღის განმავლობაში;
- მსესხებელი ვალდებულია საბანკო ბრუნვებისა და ნაშთების 70% იქონიოს სს "თიბისი ბანკში" არსებულ ანგარიშებზე, თუკი აღნიშნული ხელს არ უშლის კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შესრულებას.
- მსესხებელი ვალდებულია ფინანსური წლის ყოველი კვარტლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას ფინანსური მაჩვენებლების უწყისები ბანკისთვის მისაღები ფორმით (არააუდიტორული ფორმით)
- თბოსადგურის ოპერირებისთვის საჭირო კაპიტალური ინვესტიციები უნდა დაფინანსდეს დამფუძნებლის მიერ ინვესტირებული თანხებით, ისე, რომ არ მოხდეს აღნიშნული კაპიტალური ინვესტიციის მსესხებლის საბრუნავი სახსრებიდან ფინანსირება;
- სესხის გარანტიის მოქმედების განმავლობაში სს "თიბისი ბანკის" წერილობითი ნებართვის გარეშე არ მოხდეს, როგორც მსესხებლის კუთვნილი ქონების, ასევე სს "თიბისი ბანკი"-ს სასარგებლოდ დატვირთული/დაგირავებული ქონების იპოთეკა/გირაოვნობით დატვირთვა/დაგირავება ან/და გასხვისება
- სესხის მოქმედების განმავლობაში, მსესხებელს არ აქვს უფლება სს "თიბისი ბანკის" წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური თადეობა ნებისმიერ ფიზიკური ან / და იურიდიულ პირზე.
- კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე. ICR კოეფიციენტი იანგარიშება, როგორც (კომპანიის საოპერაციო მოგება ცვეთა-ამორტიზაციის გათვალისწინებით (EBIT) შეფარებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯებთან)

ჯგუფი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს არსებითად კოვენანტების მოთხოვნებს, რის გამოც, ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხული საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად. არსებული მოთხოვნის დარღვევის გამო, თიბისი ბანკისგან მიღებული სასესხო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინამდებარე ანგარიშგებაში წარგდენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკისგან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და შრომითი და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრედინგ კომპანი ვალდებულია:

- სრულად და ჯეროვნად დაიცვას გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და შრომითი და სოციალური დაცვის ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნები; მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით თუ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნები ან/და საწარმოო და სალიცენზიო პირობები;
- უზრუნველყოს კომპეტენტური წარმომადგენლის დასწრება ბანკის მიერ უშუალოდ ან მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით წარმოებული კლიენტის მონიტორინგის პროცესში;
- ნებისმიერი ისეთი გარემოების დადგომიდან, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს დაცვას, ჯანდაცვას და შრომითი და სოციალური დაცვას 5 საბანკო დღის ვადაში აცნობოს ბანკს აღნიშნულის თაობაზე და იმ ზომების შესახებ, რომელსაც იგი იღებს ზემოთ ხსენებული გარემოებების აღმოსაფხვრელად;

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილი კოვენანტების მოთხოვნებს.

მიღებული სესხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

22-ე შენიშვნაში აღწერილი სხვა კომპანიების თავდებობისა და აქტივების უზრუნველყოფის შედეგად წარმოქმნილი შესაძლო ვალდებულებები არ არის აღრიცხული, რადგან მათი შეფასება საიმედოდ შეუძლებელია, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათი რეალური ღირებულება არ არის მატერიალური.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილებები მიღებულ სესხებში

2022 წლის 11 მაისს ჯგუფმა მიიღო სესხი სს ლიბერთი ბანკისგან 3,000,000 აშშ დოლარის ოდენობით, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7.875 + Term SOFR-ის 6 თვიანი განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ 9.5%-ს, სესხი დაფარვის ვადის მიხედვით წარმოადგენს მოკლევადიანს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წელს, ჯგუფმა დაფარა ლიბერთი ბანკთან არსებული 6,055,155 აშშ დოლარის სასესხო ვალდებულება.

ცვლილებები გაცემულ სესხებში

2022 წლის განმავლობაში შპს ჯორჯიან მანგანეზმა დაფარა ჯგუფის მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნა 35,000,000 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულ მოთხოვნაზე დედტალები იხ. მე-8 შენიშვნაში.

2022 წლის 28 ივნისს ჯგუფმა გააფორმა გირავნობის ხელშეკრულებები სს ქოუსთის და შპს სითი გარდენის მიმართ გაცემული სესხების (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად 8,213,539 ლარის ოდენობით) უზრუნველსაყოფად. გირავნობის საგანს წარმოადგენს სს ქოუსთის და ფ/პ გიორგი ჭელიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

ჯგუფმა 2022 წელს სესხი გასცა შპს "კოდებიზზე" 1,126,300 აშშ დოლარის ოდენობით, სესხის დაფარვის ვადა განსაზღვრულია 3 წლით, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს - 8%-ს.

სს თრეჟერ კაპიტალის დაარსება და მასთან დაკავშირებული ოპერაციები

2022 წლის 25 თებერვალს შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიმ დაარსა შვილობილი კომპანია სს "თრეჟერ კაპიტალი", რომლის 70% აქციებს ფლობს შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი, ხოლო აქციების 30%-ის მფლობელია ფ/პ გიორგი კაპანაძე.

2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა გასცა თრეჟერ კაპიტალზე სესხი 49,109,000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხის დაფარვის ვადიანობა შეადგენს 5 წელს, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი კი - 6.6%-ით არის განსაზღვრული. 2022 წელს, მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, "თრეჟერ კაპიტალმა" გასცა სესხი ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართულზე სესხი 49,000,000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხის დაფარვის ვადად განისაზღვრა 31.12.2022 თარიღით, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი კი განსაზღვრულია - 6.6%-ით.

მოთხოვნის დათმობა

2022 წლის 30 ივნისს გაფორმდა სამხრივი შეთანხმება: შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანის, შპს ბლოქვაურსა და Relington Resources INC-ს შორის. შეთანხმების მიხედვით 2,184,970 აშშ დოლარის ოდენობის გაცემული სესხის მოთხოვნა შპს სტილმა დაუთმო Relington Resources INC-ს, რის შედეგადაც აღნიშნული თანხით შეუმცირდა Relington Resources INC-სგან მიღებული სესხის ვალდებულება.

შპს სტილ ოილის გაყიდვის ოპერაცია

2022 წლის ივნისში შპს სილვერ ლაით ოილი (2021 წლის მონაცემებით შპს სტილ ოილი) გასხვისდა, შედეგად 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ფ/პ კახაბერ დაუშვილი.

კრიპტო აქტივის რეალური ღირებულების ცვლილება

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯგუფის კრიპტო აქტივის (bitcoin) რეალური ღირებულება შემცირდა და წმინდა ცვლილებამ კრიპტო აქტივის რეალურ ღირებულებაში შეადგინა 5,513,529 ლარი.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

საგადასახადო პატიება

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ჯგუფმა მიიღო საგადასახადო ვალდებულების პატიება შემოსავლების სამსახურისგან 14,831,662 ლარის ოდენობით.

საომარი ვითარებები უკრაინის ტერიტორიაზე

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალი კომპანიის მათ შორის ისეთი კომპანიების სავაჭრო საქმიანობაზე, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები) რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ჯგუფს ჰყავს მრავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთში და უკრაინაში. ჯგუფმა 2022 წელს, ომის დაწყების შემდეგ, განახორციელა დაახლოებით 170 მილიონი ლარის ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტი რუსეთის ტერიტორიაზე. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯგუფის ხელმძღვანელობა ვერ აფასებს ზემოთ აღნიშნული მოვლენების გავლენას (ან შესაძლო გავლენას) ჯგუფის საქმიანობაზე.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს კონტროლი ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე;

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივების შესყიდვა. აქტივის ან აქტივების ჯგუფის შეძენისას, რომელიც არ აფუძნებს საწარმოს, ჯგუფი განსაზღვრავს აქტივთა ჯგუფი შეძენის მომენტში წარმოადგენს თუ არა საწარმოს. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობის შეფასებით, შეძენილი აქტივები არ წარმოქმნის საწარმოს, ჯგუფმა შეძენის შედეგად აღიარებს ინდივიდუალურ იდენტიფიცირებად აქტივებსა და ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში, აქტივთა ჯგუფის ღირებულება მიეკუთვნება ინდივიდუალურად იდენტიფიცირებად აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულების საფუძველზე. გუდვილი არ აღიარდება.

საწარმოს შეძენის იდენტიფიცირების მიზნით ჯგუფი იდენტიფიცირებას უკეთებს საწარმოს სამ ელემენტს, რომლებიც განიმარტება შემდეგნაირად:

ა) რესურსები: ნებისმიერი ეკონომიკური რესურსი, რომელიც კმნის პროდუქციას, ან გააჩნია პროდუქციის შექმნაში მონაწილეობის მიღების უნარი, როდესაც მასზე ჩატარდება ერთი ან მეტი პროცესი. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივები (მათ შორის, არამატერიალური აქტივები ან გრძელვადიანი აქტივების გამოყენების უფლებები), ინტელექტუალური საკუთრება, აუცილებელ მასალებზე ან უფლებებსა და შრომით რესურსებზე წვდომის მოპოვების შესაძლებლობა;

ბ) პროცესი: ნებისმიერი სისტემა, სტანდარტი, პროტოკოლი, კონვენცია ან წესი, რომელიც რესურსის ან რესურსების მიმართ გამოყენებისას, კმნის პროდუქციას, ან გააჩნია პროდუქციის შექმნაში მონაწილეობის მიღების უნარი. მაგალითად: სტრატეგიული მართვის პროცესები, საოპერაციო პროცესები და რესურსების მართვის პროცესები. ეს პროცესები, როგორც წესი, დოკუმენტურად არის შედგენილი, მაგრამ ორგანიზებული შრომითი რესურსების ინტელექტუალურ პოტენციალსაც, რომლებსაც გააჩნია აუცილებელი უნარ-ჩვევები და პრაქტიკული გამოცდილება და იცავენ წესებსა და კონვენციებს, შეუძლიათ აუცილებელი პროცესების ამოქმედება, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება რესურსების მიმართ პროდუქციის შექმნის მიზნით (ბუღალტრული აღრიცხვის, სატრანსპორტო ზედდებულების/ანგარიშ-ფაქტურების გამოწერისა და გაცემის, შრომის ანაზღაურებისა და სხვა ადმინისტრაციული სისტემები, როგორც წესი, არ მიეკუთვნება პროდუქციის შესაქმნელად გამოყენებულ პროცესებს);

გ) პროდუქცია: შედეგი, რომელიც მიიღება რესურსებისა და ამ რესურსების მიმართ ისეთი პროცესების გამოყენების შედეგად, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებას, საინვესტიციო შემოსავლის მიღებას (როგორცაა დივიდენდები ან პროცენტები) ან სხვა სახის შემოსავლის მიღებას ჩვეულებრივი საქმიანობიდან.

საწარმოთა გაერთიანების დროს ჯგუფი შეძენის თარიღისათვის აღიარებს საწარმოთა გაერთიანებაში აღებულ პირობით ვალდებულებებს, თუ ეს არის მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა წარსული მოვლენების შედეგად და მისი რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

შეფასების და წარსადგენი ვალუტა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგი შეფასების კატეგორიებით: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

გაცემული სესხები. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის თარიღით აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

გაცემული სესხების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის ჯგუფი გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ზარალის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. ფინანსურ აქტივებს 1 საფეხურზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი რეკლასიფიცირდება მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი კრედიტ-გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება წარსულ პერიოდში გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე საპროგნოზო ინფორმაციის მიხედვით იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტის ანგარიშსწორების უნარზე.

სავაჭრო მოთხოვნები. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის იყენებს ყველა მიზანშეწონილ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ფეროსილიკომანგანუმის, ქვანახშირისა და კოქსის რეალიზაცია. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. ჯგუფის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის ფლობაზე რისკების და ანაზღაურების გადაცემის მომენტში, ჩვეულებრივ, საქონლის გაგზავნისას. თუკი ჯგუფი თანახმაა საქონლის გაგზავნაზე მითითებულ ადგილას, შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს დანიშნულების პუნქტში, ან კლიენტმა მიიღო საქონელი იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიღების პირობები ამოიწურა, ან ჯგუფს აქვს ობიექტური ვალდებულებები, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი იქნა შესრულებული.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, ჯგუფს შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამოიჯვანე კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გადასახადები. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ერთი და იგივე კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საწარმოთა ჯგუფში შემავალი ერთი საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივის ჩათვლა მეორე საწარმოს საგადასახადო ვალდებულების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოებს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული მხოლოდ ერთი წმინდა გადასახადის მიღების ან გადახდის უფლება და საწარმოებში საგადასახადო აქტივის ანაზღაურებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად ახორციელებენ. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფში შემავალი სხვადასხვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები წარდგენილი არ არის ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

მიწას და დაუმთავრებელი მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ნაწილს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, ხოლო ნაწილს ცვეთა ერიცხება მათი გამომუშავებულ ერთეულთა მიხედვით.

გამომუშავებულ ერთეულთა მიხედვით ცვეთა ერიცხება სამთო გამონამუშევრებს ფაქტიურად მოპოვებული მოცულობის მთლიან დაზვერილ (მოსაპოვებელ) მოცულობასთან თანაფარდობით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	არ ცვდება
შენობები და ნაგებობები	5-55
ნახშირის მოპოვებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები	გამომუშავებულ ერთეულთა მეთოდი
საოპერაციო დანიშნულების ძირითადი საშუალებები	4-25
ადმინისტრაციული დანიშნულების ძირითადი საშუალებები	3-14
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

პერიოდების მიხედვით იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის ღირებულებები, რომლებიც გამოიყენება წარმოების მიზნებისთვის, ემატება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას. იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი კი, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის, კლასიფიცირდება, როგორც ადმინისტრაციული ხარჯი.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი ფლობს შემდეგ ლიცენზიებს:

ლიცენზიის აღების თარიღი	ლიცენზიის №.	მოსაპოვებელი ტერიტორია	მოსაპოვებელი რაოდენობა ლიცენზიის მიხედვით (ტონებში)	ლიცენზიის ვადა (წელი)
15-აგვისტო- 2006	№100752	ტყიბულის რაიონი – ლიცენზიის ფართობი 8 ჰექტარი	მინიმუმ 110,000 ტონა 2010- 2011 წლებში, შემდეგ წლებში ულიმიტო	2036 წლის 14 აგვისტომდე
25-დეკემბერი- 2007	№01018	ტყიბულის და ამბროლაურის რაიონი –ლიცენზიის ფართობი 5,479,9 ჰექტარი	233,298,000	45
20-იანვარი- 2010	№100785	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 0.75 ჰექტარი	ულიმიტო წლიური მოპოვება, მთლიანად მოსაპოვებელი 54,840 მ³	20
01-იანვარი-2017	№1003794	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 5.02 ჰექტარი	602,400 მ³	20

ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზიები	5-45
რუკები	45
სააღრიცხვო პროგრამები	5

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი ნაწილობრივ კაპიტალიზდება მოპოვებული ნახშირის ღირებულებაზე ნაწილობრივ კი აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია, გარდა სააღრიცხვო პროგრამისა.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ კი მის შეფასებას საბაზრო ფასების ცვლილების შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლების დასკვნის შესაბამისად, რომლებსაც აქვთ მსგავსი აქტივების და მსგავს ლოკაციებზე შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში „სხვა საოპერაციო ხარჯი, წმინდა“ კლასიფიკაციის ქვეშ. საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ცალკე კატეგორიად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

წარმოების პროცესში არსებული გარდამავალი ფაზა ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე წარმოადგენს დაუმთავრებელ წარმოებას. თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის ამ ანგარიშზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები.

საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

კრიპტო აქტივი. კრიპტო აქტივი. კრიპტო აქტივი წარმოადგენს ვირტუალურ ვალუტას - აქტივს, რომელიც არის როგორც იდენტიფიცირებადი, ასევე განცალკევებადი და წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა უფლებებით. ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტმა გამოუშვა დადგენილება კრიპტო აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებით 2019 წლის ივნისში. რაიმე სტანდარტი არ არსებობს კრიპტო აქტივების აღრიცხვას. ამ გარემოების მიმოხილვის შედეგად ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კრიპტო აქტივები აღერიცხა ბასს 38-ის მოთხოვნების შესაბამისად, გადაფასების მოდელის გამოყენებით. თავდაპირველად კრიპტოვალუტა აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კრიპტო აქტივის რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით. ჯგუფისთვის კრიპტო ვალუტა წარმოადგენს ისეთ გრძელვადიან აქტივს, რომლის რეალიზაცია კომპანიის მიერ არ იგეგმება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სახელმწიფო გრანტების აღიარება. სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ ჯგუფი შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს და გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით აღიარდება მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ:

ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმენა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ფასს 16-ის დანერგვას არც საანგარიშგებო და არც წინა პერიოდებზე არ მოუხდენია გავლენა, რადგან ჯგუფი იყენებს ფასს 16-ით განსაზღვრულ გათავისუფლებას ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ გაიცემა ნებართვა ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე, აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შპს „სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.....	3
1. ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის შესახებ.....	4
2. ჯგუფის მომავალი განვითარების გეგმები.....	4
3. კომპანიის საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა.....	5
4. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	6
5. ჯგუფის ფილიალების მიმოხილვა.....	6
6. ჯგუფის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
7. ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა	7

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 22 ივლისს უარი ვთქვით მოსაზრების გამოთქმაზე. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 ივლისი 2022

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრედინგ კომპანის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 22 ივლისს უარი ვთქვით მოსაზრების გამოთქმაზე. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 ივლისი 2022

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

(ლარში)

1. ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის შესახებ

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს „სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანის“ (შემდგომში სტილი) ბაზარზე მოქმედებს 2018 წლიდან. სტილი ვაჭრობს შემდეგი პროდუქციით: მეტალი, მარგანეცი, ფეროსილიკომანგანეცი, კოქსი, საწვავი, ელექტროენერგია, ქიმიური ნივთიერებები ძირითადად სამთი მოპოვებისთვის, ფეთქებადი ნივთიერებები, სხვადასხვა მძიმე ტექნიკის სათადარიგო ნაწილები, კერძოდ: კატერპილარი, კომაცო, ჰიტაჩი, კამინსი, დუსანი, ზეტეფი, ბელაზი, ვოლვო და სხვა.

იმპორტი და ექსპორტი ხორციელდება შემდეგი ქვეყნებიდან/ში: ჩინეთი, თურქეთი, დსთ-ს ქვეყნები. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სტილი ფლობს წილს 3 შვილობილ კომპანიაში (შემდგომში „ჯგუფი“):

- შპს საქნახშირი – 100% 2019 წლის 27 სექტემბრიდან,
- შპს ჯიემ ენერჯი – 51% 2020 წლის 10 ივნისიდან და
- შპს სტილ ოილ - 100% 2020 წლის 29 ოქტომბრიდან.

აქტიურ კომპანიას ჯერჯერობით წარმოადგენენ საქნახშირი და სტილ ოილი.

თანამშრომელთა რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 1,230-ს, ხოლო 2020 წელს 1,158-ს.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენას ადგილი არ ჰქონია.

2018 წლის ივნისში შპს „საქნახშირმა“ შეაჩერა ნახშირის მოპოვება რამდენიმე ფატალური ინციდენტის გამო. თუმცა, 2019 წლის სექტემბერში კომპანიაში 100%-იან მესაკუთრედ შპს "სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგ კომპანი"-ის შემოსვლის შემდეგ, კომპანიამ აღადგინა ქვანახშირის წარმოება ტექნიკური უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

2. ჯგუფის მომავალი განვითარების გეგმები

დღეისთვის ჯგუფი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ტრეიდინგულ კომპანიას საქართველოში. ჯგუფი გეგმავს თავისი სავაჭრო პროდუქციის პორტფელის გაფართოებას და შემოსავლების ზრდას.

სტილი გეგმავს ქვანახშირის წარმოების გაზრდას 2022 წლის სექტემბერში, კერძოდ, რიგითი ნახშირის მოპოვებას 30 ათას ტონამდე. გასაღების ბაზარი იქნება ძირითადად ორი საქართველოს საწარმო: ჯიემი და ჰაიდელბერგი. ასევე სხვა მცირე საწარმოები.

სტილი იმედოვნებს, რომ ამის შედეგად მოხდება ძირითადი ხარჯების გადაფარვა საქნახშირში. 2019 - 2021 წლებში საქნახშირი დოტაციური იყო.

ასევე სტილი ინტენსიურად მუშაობს ინვესტიციის მოძიებაზე ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქნახშირის მომავლისთვის.

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრედინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

(ლარში)

3. კომპანიის საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარებები მოცემულია ქვემო ცხრილებში

← უკან დაბრუნება **სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)**

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	99.1	99.5	103.1	104.0	102.1	106.0	102.6	104.9	105.2	109.6
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	98.6	102.4	102.0	104.9	101.8	106.7	101.5	107.0	102.4	113.9

← უკან დაბრუნება **საგარეო ვაჭრობა**

	2016	2017	2018	2019	2020	2021*	2022* იანვარი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 459.0	10 802.9	12 741.5	13 317.6	11 396.3	14 315.6	1 109.4
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 117.1	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 343.4	4 242.3	331.3
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	7 341.9	8 057.2	9 361.8	9 519.2	8 052.9	10 073.3	778.1
საგარეო ვაჭრობის საღდო	-5 224.7	-5 311.4	-5 982.1	-5 720.8	-4 709.4	-5 831.0	-446.7
ადგილობრივი ექსპორტი	1 620.4	2 007.8	2 226.2	2 324.5	2 408.1	3 127.1	231.3

← უკან დაბრუნება **მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)**

	2017	2018	2019	2020
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	40.8	44.6	49.3	49.3
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	36.6	38.4	40.3	37.6
რეალური მშპ-ს ზრდა, პროცენტი	4.8	4.8	5.0	-6.8
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	8.5	4.4	5.2	7.3
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	10 933.9	11 968.0	13 239.4	13 234.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 358.5	4 722.0	4 696.2	4 255.7
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	16.2	17.6	17.5	15.8

წყარო: <https://www.geostat.ge/ka>

შპს სტილ ინტერნიშენელ ტრეიდიგ კომპანი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

(ლარში)

მთავრობის ინიცირებული საგადასახადო რეფორმა ძალაში 2017 წლის 1 იანვარს შევიდა. რეფორმის ფარგლებში ქვეყნის საგადასახადო სტრუქტურა უახლოვდება ე.წ. „ესტონურ მოდელს“, რომლის ფარგლებშიც კომპანიების მოგება მხოლოდ დივიდენდების სახით განაწილებისას დაიბეგრება.

4. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2021 და 2020 წლის განმავლობაში ჯგუფი არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

5. ჯგუფის ფილიალების მიმოხილვა

ჯგუფი არ ფლობს იურიდიულ ფილიალებს.

6. ჯგუფის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	2021	2020
შემოსავალი	709,913,015	163,592,138
საერთო მოგება	182,331,179	108,168
წმინდა მოგება/(ზარალი)	231,952,159	-39,124,621
საერთო მოგება/შემოსავალთან (%)	25.68%	0.07%
წმინდა მოგება / შემოსავალთან(%)	32.67%	-23.92%

ჯგუფმა 2021 წელს გაზარდა საოპერაციო საქმიანობის მასშტაბი, რაც დადებითად აისახა როგორც შემოსავლებზე, ასევე საერთო მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ჯგუფის აქტივები

ჯგუფის მთლიანი აქტივების წლიური ზრდა წინა წელთან მიმართებაში 2021 წელს იყო 487%, ხოლო 2020 წელს 119% .

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 258,128,264 ლარს, გაცემული სესხები 155,734,866 ლარს. მარაგები 35,361,494 ლარს, რომელშიც ძირითადად შედის ფეროსილიკომანგანუმი.

ჯგუფის ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საცალო ვაჭრობის სფეროში მოღვაწე კომპანიები ხშირად იყენებენ სავაჭრო ვალდებულებებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. შედეგად, სავაჭრო ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

2021-ში ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მთლიანი ვალდებულებების 44%-ია 142,303,250 ლარით. (2020: 28%, 44,140,768 ლარი)

შპს სტილ ინტერნიშენელ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

(ლარში)

მიღებული სესხები

საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად ჯგუფი იღებს სესხებს, როგორც ფინანსური ინსტიტუტებიდან, ასევე იურიდიული პირებისგან. 2021 წლის მონაცემები იხილეთ ცხრილში:

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	6-10%	27,424,073	39,728,591
არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	8-10%	140,934,769	61,860,722
		168,358,842	101,589,313

7. ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის დირექტორთა საბჭო და შესაბამისი კომიტეტები მენეჯმენტისგან ღებულობენ ყოველთვიურ ანგარიშგებას, მიმოხილავენ თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და გაცემული სესხებიდან.

იმის მიუხედავად, რომ საკრედიტო რისკზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორებიც, მენეჯმენტს სჯერა, რომ ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, გარდა იმ აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა, რომლებთან დაკავშირებითაც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფს საბაზრო რისკი წარმოექმნება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

შპს სტილ ინტერნეშენელ ტრედინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

(ლარში)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე.

ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხებისა, რომელთა საპროცენტო განაკვეთი 6 თვიან LIBOR-ზეა მიბმული.

ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟები, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წავიდეს ზარალში იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელი მოძრაობები წარმოიქმნება ბაზარზე. ჯგუფი არ აკეთებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

საოპერაციო რისკი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე.

რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალი კომპანიის მათ შორის ისეთი კომპანიების სავაჭრო საქმიანობაზე, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები) რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ჯგუფს ჰყავს მრავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთში და უკრაინაში. ჯგუფმა 2022 წელს, ომის დაწყების შემდეგ, განახორციელა დაახლოებით 170 მილიონი ლარის ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტი რუსეთის ტერიტორიაზე. მოცემული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ხელმძღვანელობა ვერ აფასებს ზემოთ აღნიშნული მოვლენების გავლენას (ან შესაძლო გავლენას) ჯგუფის საქმიანობაზე, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი შეფერხება საოპერაციო საქმიანობაში, თვლის რომ მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკი აღნიშნული მოვლენის გამო, არ არსებობს.

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

(ლარში)

სხვა ფინანსური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამიტომ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღარ არის წარმოდგენილი.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 27 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ზურაბ დიდბერიძე

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

(ლარში)

სხვა ფინანსური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამიტომ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღარ არის წარმოდგენილი.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 27 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი



ზურაბ დიდბერიძე